

29 მაისი, 2018

04/03-624

საქართველოს მთავრობას

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა

ს/კ: 204952676

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:

- ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

1. 2018 წლის 21 თებერვალს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და მოითხოვა ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500კვ.ელ. გადამცემის ხაზის მეორე მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 12კმ-იანი შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთის მშენებლობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ენერგოტრანსი“-ს 2018 წლის 19 თებერვლის № 111 განცხადებით სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი თავისი მოთხოვნის საფუძველად წერილში „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს უთითებს.

მტკიცებულება - დანართი #1. - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 21 თებერვლის წერილი #04/308

2. 2018 წლის 22 თებერვალს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და მისივე 2018 წლის 21 თებერვლის #04/308 წერილით გაგზავნილ მოთხოვნასთან დაკავშირებით **დამატებით აცნობა**, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ითხოვდა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემას ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500კვ.ელ. გადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 12კმ-იანი შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთის მშენებლობაზე.

მტკიცებულება - დანართი #2. - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 22 თებერვლის წერილი #04/317

3. 2018 წლის 13 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა #2-152 ბრძანებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შპს „ენერგოტრანსს“ ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების (12,6 კმ-იანი მონაკვეთი) განხორციელების უფლება მიანიჭა.

მტკიცებულება - დანართი #3. - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

4. „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის #2-152 ბრძანების თანახმად, შპს „ენერგოტრანსმა“ მშენებლობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს რიგი დოკუმენტებისა, რომელიც სწორედ გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და განხილული. კერძოდ:

„3.3 ვინაიდან, საპროექტო უბანი მდებარეობს ფრინველთა სეზონური მიგრაციის დერეფანში და აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებულია ფრინველთა სხვადასხვა, მათ შორის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დაცული სახეობები, საჭიროდ მიმაჩნია, სადენების მარკირება განხორციელდეს სრულ საპროექტო ტერიტორიაზე. ასევე, **მშენებლობის დაწყებამდე ჩატარდეს კვლევა, პროექტის გავლენის ტერიტორიაზე ფრინველთა ბუდეების აღრიცხვის მიზნით.** კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, შემოთავაზებულ იქნას ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და/ან საკომპენსაციო ქმედებები. მშენებლობის დაწყებამდე, კვლევის მასალები სათანადო რეკომენდაციებითა და დასკვნებით წარმოდგენილ იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (შემდგომში სამინისტრო) შესათანხმებლად.

3.4 მშენებლობის დაწყებამდე, სამინისტროში წარმოადგინოს ჭრას დაქვემდებარებულ მცენარეთა ნუსხის ქართული და სამეცნიერო (ლათინური) დასახელებები;

3.5 მშენებლობის დაწყებამდე, სამინისტროში წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია ეგზ-ს მდინარეების გადაკვეთის ადგილებში წყალსა და წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნებაზე. აღნიშნულ ინფორმაციის, საჭიროების შემთხვევაში თან უნდა ახლდეს, შესაბამისი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები;

3.6 პროექტის განხორციელებით ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკომპენსაციოდ, **მშენებლობის დაწყებამდე, სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმა შესათანხმებლად.** აღნიშნულ გეგმაში ასახულ უნდა იქნას, სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია იმ ჰაბიტატების თაობაზე, რომლებიც ზემოქმედებას (განადგურება, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია) დაექვემდებარება და იმ ცხოველთა სახეობებზე, რომლებიც გვხვდებიან მითითებულ ჰაბიტატებში და მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე;“

„3.9 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოამზადოს და სამინისტროში წარმოადგინოს საკვლევი ტერიტორიის თანამედროვე გეოდინამიკური პროცესებისა და მოვლენების გავრცელების რუკა, სადაც ასახული იქნება ის სენსიტიური უბნები, რომლებიც მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში ყველაზე მაღალი რისკის მატარებლები არიან. ყოველი კონკრეტული უბნისთვის შეიმუშაოს უსაფრთხოებისთვის საჭირო შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები და წარმოადგინოს სამინისტროში განსახილველად;

3.10 მშენებლობის დაწყებამდე სამინისტროში წარმოადგინოს შეცვლილი 7 საყრდენის ადგილზე ხელბურღით გაყვანილი 7 (NN 138-144) ჭაბურღილის კოორდინატები;“

მტკიცებულება - დანართი #3. - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

5. 2018 წლის 13 აპრილს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვა „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის N 2-152 ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ამსახველი სრული დოკუმენტაციის ასლი.

მტკიცებულება - დანართი #4. - ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2018 წლის 13 აპრილის # 04/03-612 წერილი

6. 2018 წლის 30 აპრილს ჩაგვბარდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 26 აპრილით დათარიღებული წერილი # 3481/01, რომლითაც გადმოგვეცა როგორც მოთხოვნილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები, ასევე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე შპს „ენერგოტრანსის“ მიერ პროექტის გზშ-ს წინასწარი განხილვისა და ამ პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტებიც.

მტკიცებულება - დანართი #5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 26 აპრილის წერილი # 3481/01

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

WWW.GREENALT.ORG

მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

სზაკ-ის 180.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ამავე კოდექსის 178.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, სადაც ზემოაღნიშნული გასაჩივრების ვადის დაცვით წარმოდგენილია წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი.

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის #2-152 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა იქნას ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გასაჩივრებული აქტის გამოცემისათვის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისადმი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 21 თებერვლის წერილით მიმართვის საფუძველზე. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა (1) „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის, (2) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და (დამატებით წარდგენილი მოთხოვნის თანახმად) (3) „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, მოითხოვა ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500კვ.ელ.

გადამცემის ხაზის მეორე მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 12კმ-იანი შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთის მშენებლობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ენერგოტრანსი“-ს 2018 წლის 19 თებერვლის № 111 განცხადებით სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა.

3. 2018 წლის 21 თებერვალს (ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას) უკვე ძალადაკარგული იყო „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი; სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი კი კანონზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებას ითხოვდა.

4. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამ პერიოდში, ასევე, უკვე აღარ ითვალისწინებდა მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესის მეორე სტადიაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემას. შესაბამისად, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო აღარ იყო უფლებამოსილი მიემართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის და/ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. შპს „ენერგოტრანსი“ თავად უნდა მოეპოვებინა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

5. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, პროექტს უნდა გაეგლო კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრული გზშ-ს ყველა ეტაპი სრულყოფილად, რასაც ადგილი არ ჰქონია. არ ყოფილა წარდგენილი და განხილული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და არ მომხდარა დოკუმენტაციის საჯარო განხილვა.

6. გასაჩივრებული აქტის ტექსტის თანახმად, აქტი გამოცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით გაცემას. თუმცა, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ნათლად ჩანს, ადმინისტრაციული წარმოება 2018 წლის 21 თებერვალს დაიწყო და არ არსებობდა არანაირი საფუძველი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით გაცემისათვის.

7. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად მოქალაქეს უფლება აქვს: ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში. საზოგადოებას არ მიეცა გასაჩივრებული აქტის გამოცემის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.

8. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა. კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს

გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“. როგორც ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

9. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა (გასაჩივრებული აქტი და მისი გამოცემისთვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები გადმოგვეცა 2018 წლის 30 აპრილს), არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძველები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე გთხოვთ:

- მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში;
- ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის #2-152 ბრძანება „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

დანართი #1. - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 21 თებერვლის წერილი #04/308 - 2 ფურცელი;

დანართი #2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 22 თებერვლის წერილი #04/317- 1 ფურცელი;

დანართი #3. - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ – 5 ფურცელი;

დანართი #4. - ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2018 წლის 13 აპრილის # 04/03-612 წერილი – 1 ფურცელი;

დანართი #5. - დანართი #5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 26 აპრილის წერილი # 3481/01 - 2 ფურცელი და 1 კომპაქტური დისკი;

დანართი #6. - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;

დანართი #7. - რწმუნებულება - 1 ფურცელი.

დანართი სულ: 14 ფურცელი და 1 კომპაქტური დისკი.

ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო



LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ჯიჯიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge ს/კ 202466991
8, Jiqia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
Email: tacsa@economy.ge



KA020126355789818

№ 04/308

21 / თებერვალი / 2018 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად გიგზავნით, შპს „ენერგოტრანს“-ს 2018 წლის 19 თებერვლის № 111 განცხადებით წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500კვ.ელ. გადამცემის ხაზის მეორე მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 12კმ-იანი შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთის მშენებლობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ შპს „ენერგოტრანს“-ზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

დანართი:

1. 500კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 5 ეგზ;
2. 500კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზ;
3. 500კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ტექნიკური რეზიუმე - 1 ეგზ;
4. 500კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის

სხდომის ოქმი (დუშეთი 20.10.2017 წელი)-9ფ.

5. ელექტრონული ვერსია - 1 CD.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი



გრიგოლ კაკაურიძე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო



LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ჯიქიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge ს/კ 202466991
8, Jikia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
Email: tacs@economy.ge



KA020175886210118

№ 04/317

22 / თებერვალი / 2018 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

სააგენტოს 2018 წლის 21 თებერვლის N04/308 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს თანახმად გთხოვთ, გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500კვ.ელ. გადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 12კმ-იანი შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთის მშენებლობაზე.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

გრიგოლ კაკაურიძე



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-152

13/03/2018

ქ. თბილისი

შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“-ს მიერ წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტში შპს „ენერგოტრანსი“-ს ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის (შემდგომში „ეგხ“) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების (12,6 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:

500 კვ ძაბვის ეგხ-ს „ქსანი სტეფანწმინდა“-ს 95 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს ახორციელებს შპს „ენერგოტრანსი“. აღნიშნულ პროექტზე საქართველო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2016 წელს გაცემული იყო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (N27, 24.05.2016 წ.) და შესაბამისი მშენებლობის ნებართვა, რომელთა საფუძველზე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები. მშენებლობის პროცესში დუშეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე დასახლებული პუნქტის (სოფ. წინამხარი, სოფ. ბიბილიანი) მოსახლეობამ გამოთქვა უკმაყოფილება ეგხ-ის საცხოვრებელ ზონებთან სიახლოვესთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ეგხ-ის საპროექტო დერეფნის შეცვლის თაობაზე, კერძოდ: საპროექტო დერეფანი ითვალისწინებს თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული დერეფნის 134 და 162 საყრდენებს შორის მოქცეული მონაკვეთის შეცვლას ახალი დერეფნით, რომელიც მნიშვნელოვანი მანძილით (ყველაზე ახლოს საცხოვრებელი სახლი იქნება 150-160 მ-ში) იქნება დაცილებული საცხოვრებელი ზონებიდან. საპროექტო ცვლილებით გათვალისწინებული მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 12.6 კმ-ს.

ცვლილების პროექტი იწყება სოფ. წინამხრიდან და ძირითადი პროექტის დერეფანს უერთდება სოფ. ხამუშასთან. საპროექტო გადაწყვეტილების მიხედვით ამ მონაკვეთზე უნდა დამონტაჟდეს 34 ერთეული საყრდენი ანძა.

საპროექტო ეგხ-ის ტექნიკური მახასიათებლები, ძირითადი პროექტით განსაზღვრული პარამეტრების იდენტურია.

ეგხ-ის ალტერნატიული მონაკვეთის მშენებლობის პროცესში სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისათვის საჭიროა ასევე ახალი, ანძებთან მისასვლელი გზების მოწყობა. საპროექტო გზების საერთო სიგრძე იქნება 15,413 კმ.

ეგხ-ს ცვლილების სამშენებლო სამუშაოების შესრულება მოხდება, ძირითადი პროექტისათვის შექმნილი სამშენებლო ინფრასტრუქტურის გამოყენებით, კერძოდ: სოფ. მენესოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო ბაზიდან.

გზმ-ს ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების რაიონის გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ. მასალები მომზადებულია არსებული ლიტერატურული წყაროების და სხვა კვლევის შედეგების საფუძველზე. ანგარიშში აღწერილია საქმიანობის განხორციელების პროცესში, გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროები და სახეები, მოცემულია მათი თვისობრივი და რაოდენობრივი დახასიათება და განსაზღვრულია ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების გზები.

ატმოსფერულ ჰაერთან დაკავშირებით გზმ-ს ანგარიშში განხილულია უშუალოდ სამშენებლო ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას წარმოქმნილი ემისიების გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში, რომელიც ძირითადად გამოწვეული იქნება, მიწის სამუშაოებისას, გრუნტის გზებზე მანქანა დანადგარების გადაადგილებისას, შედუღების სამუშაოებიდან და სხვა სამუშაოების წარმართვისას. აღნიშნულის გათვალისწინებით მითითებულია, რომ ადგილი არ იქნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებზე გადაჭარბებას, თუმცა წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთა შესრულების შემდგომ უარყოფითი ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, მშენებლობის ეტაპზე შეფასებულია როგორც დაბალი, ხოლო დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით კი ძალიან დაბალი. შემარბილებელი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: ხმაურიანი სამუშაოების პერიოდის განსაზღვრა, ეკოლოგიური (მაგ. ცხოველთა გამრავლების სეზონი) და სოციალური (კვირა და სადღესასწაულო დღეები) საკითხების გათვალისწინებით; ხმაურიანი სამუშაოების წარმოების დაწყებამდე მიმდებარედ არსებული მოსახლეობის გაფრთხილება და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მიცემა (საჭიროების შემთხვევაში); გენერატორების და სხვა ხმაურიანი დანადგარ-მექანიზმების განლაგება მგრძობიარე რეცეპტორებისგან (საცხოვრებელი სახლები) მოშორებით; საჭიროებისამებრ, პერსონალის უზრუნველყოფა დაცვის საშუალებებით (ყურსაცმები) და სხვა.

ეგხ-ს ნორმალურ რეჟიმში ექსპლუატაცია ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული არ იქნება.

გზმ-ს ანგარიშში, ელექტრომაგნიტური ველების გავრცელების კუთხით განხილული ინფორმაციის მიხედვით მოცემულია დასკვნა, რომ საპროექტო ეგხ-ს საცხოვრებელი სახლებიდან დაცილების მანძილები აკმაყოფილებს როგორც საერთაშორისო ნორმებს ასევე საქართველოში მიღებულ პრაქტიკას (პროექტის ცვლილების 12,6 კმ-იან მონაკვეთში ყველაზე ახლოს ეგხ ადამიანის საცხოვრებელთან გაივლის სოფ. ბახანთან 150-160 მ-ში. სოფ. წინამხართან - 350 მ-ით და სოფ. დიხჩოსთან - 500 მ-ით. სხვა შემთხვევებში მანძილი გაცილებით მეტია). შესაბამისად, ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით ადგილობრივ მოსახლეობაზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და ამ მხრივ რაიმე შემარბილებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა არ არსებობს.

საპროექტო ეგხ-ს დერეფნებში გზმ-ს მიხედვით საშიში გეოდინამიკური პროცესებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ღვარცოფები, ზვავები და ეროზიული პროცესები. შემარბილებელი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: გზის ვაკისებისთვის მოეწყობა დამცავი ნაგებობები; დროებითი გზების გაყვანასთან დაკავშირებული ეროზიული და მეწყრული პროცესების განვითარების პრევენციის მიზნით გზის ვაკისის გასწვრივ მოეწყობა თხრილები ატმოსფერული წყლების არინებისათვის; სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჩატარდება დროებითი გზების დერეფნების და ანძების განთავსების ადგილების რეკულტივაციის სამუშაოები, რაც უნდა ითვალისწინებს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შეტანას და მრავალწლიანი ბალახების დათესვას; ეგხ-ის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში და შემდგომ ექსპლუატაციის

ფაზაზე განხორციელდება მეწყრული და ეროზიული პროცესების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში გარატდება შესაბამისი ღონისძიებები.

ზვავსაშიშ უბნებში ანძებისთვის მოეწყობა სოლისებური ზვავგამჭრელი კონსტრუქცია. პროექტის მიხედვით, ელექტრო გადამცემი ხაზის სამშენებლო სამშაობის დაწყებამდე დაგეგმილია სამშენებლო დერეფნის მომზადება, რაც სხვა სამუშაოებთან ერთად ითვალისწინებს ეგხ-ის გასხვისების ზოლის ხე მცენარეებისაგან გასუფთავებას. საპროექტო ეგხ-ს მონაკვეთის სამშენებლო მონაკვეთის ხე-მცენარეებისგან გასასუფთავებელი ზოლი არ აღემატება 50 მ-ს. საპროექტო დერეფანში არსებული მცენარეული საფარის სახეობრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით მოჭრას დაექვემდებარება სხვადასხვა სახეობის 15 521 ძირი ხე. მოცემული ინფორმაციის მხედვით, საპროექტო დერეფანში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების (კაკლი (*Juglans regia*) და უთხოვრი (*Taxus baccata*)) გარემოდან ამოღება მოსალოდნელი არ არის. უკიდურეს შემთხვევაში, თუ მაინც საჭირო გახდება ამ სახეობების ამოღება, დაგეგმილია მათი მიმდებარე ტერიტორიებზე გადარგვა (აღსანიშნავია, რომ შპს „ენერგოტრანსი“-ს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-დან მიღებული აქვს, საპროექტო დერეფანში ტყის სპეციალური ჭრის ნებართვა.).

ფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედებებიდან აღსანიშნავია ფრინველებზე ზემოქმედება. ფრინველთა ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მაღალი სენსიტიურობით გამოირჩევა საპროექტო დერეფნის ორი მონაკვეთი, კერძოდ: მდ. არაგვის და მდ. შავი არაგვის გადაკვეთების წერტილები. ფრინველთა შემთხვევითი შეჯახების რისკების შესამცირებლად ეგხ-ს სენსიტიურ მონაკვეთებში მოხდება სადენების მარკირება. დაგეგმილია ფრინველებზე დაკვირვებების წარმოება. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

საპროექტო ეგხ დიდი მანძილითაა დშორებული დაცული ტერიტორიებისგან, ამიტომ უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ცვლილებით გათვალისწინებული მონაკვეთის საპროექტო დერეფანში კულტურული მემკვიდრეობის ხილული ძეგლები არ არის, შესაბამისად ზემოქმედება არაა მოსალოდნელი.

ეგხ-ის და მისასვლელი გზების გავლენის ზონებში საცხოვრებელი სახლები და დამხმარე სათავსები, ასევე კომერციული ობიექტები განლაგებული არ არის. შესაბამისად ფიზიკური განსახლების რისკი არ არსებობს და ადგილი ექნება მხოლოდ ეკონომიკურ განსახლებას (სახნავ-სათესი ან/და საძოვრების მიწები). რომლისთვისაც მომზადდება განსახლების სამოქმედო გეგმა. წინასწარი კვლევის შედეგების მიხედვით, გავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად არ გამოიყენება. მათი გამოყენება ხდება სათიბ-საძოვრებად და მრავალწლიანი კულტურული მცენარეების გაშენებისათვის.

გზმ-ს ანგარიშს თან ერთვის: მშენებლობის და ოპერირების პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები; გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმები; ეგხ-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

გზმ-ს ანგარიში განიხილა შესაბამისი დარგის ექსპერტებმა, გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით (ბიომრავალფეროვნების, გეოლოგიის, ჰიდროლოგიის და დაბინძურების). ექსპერტთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №15; 09.03.2018წ და მიენიჭოს საქმიანობის განხორციელების უფლება შპს „ენერგოტრანსი“-ს ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების (12,6 კმ-იანი მონაკვეთი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ენერგოტრანსი“-მ საქმიანობა განახორციელოს გადაწყვეტილებით (№15; 09.03.2018) გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:
 - 3.1 საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
 - 3.2 გზშ-ს ანგარიშში მითითებული ყველა შემარბილებელი ღონისძიებების, რეკომენდაციების, ვალდებულებების შესრულების და მონიტორინგის განხორციელების ვალდებულება ეკისრება საქმიანობის განმახორციელებელს;
 - 3.3 ვინაიდან, საპროექტო უბანი მდებარეობს ფრინველთა სეზონური მიგრაციის დერეფანში და აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებულია ფრინველთა სხვადასხვა, მათ შორის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დაცული სახეობები, საჭიროდ მიმაჩნია, სადენების მარკირება განხორციელდეს სრულ საპროექტო ტერიტორიაზე. ასევე, მშენებლობის დაწყებამდე ჩატარდეს კვლევა, პროექტის გავლენის ტერიტორიაზე ფრინველთა ბუდეების აღრიცხვის მიზნით. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, შემოთავაზებულ იქნას ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და/ან საკომპენსაციო ქმედებები. მშენებლობის დაწყებამდე, კვლევის მასალები სათანადო რეკომენდაციებითა და დასკვნებით წარმოდგენილ იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (შემდგომში სამინისტრო) შესათანხმებლად
 - 3.4 მშენებლობის დაწყებამდე, სამინისტროში წარმოადგინოს ჭრას დაქვემდებარებულ მცენარეთა ნუსხის ქართული და სამეცნიერო (ლათინური) დასახელებები;
 - 3.5 მშენებლობის დაწყებამდე, სამინისტროში წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია ეგზ-ს მდინარეების გადაკვეთის ადგილებში წყალსა და წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნებაზე. აღნიშნულ ინფორმაციის, საჭიროების შემთხვევაში თან უნდა ახლდეს, შესაბამისი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები;
 - 3.6 პროექტის განხორციელებით ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკომპენსაციოდ, მშენებლობის დაწყებამდე, სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმა შესათანხმებლად. აღნიშნულ გეგმაში ასახულ უნდა იქნას, სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია იმ ჰაბიტატების თაობაზე, რომლებიც ზემოქმედებას (განადგურება, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია) დაექვემდებარება და იმ ცხოველთა სახეობებზე, რომლებიც გვხვდებიან მითითებულ ჰაბიტატებში და მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე;
 - 3.7 მშენებლობის დაწყებამდე, მონიტორინგის გეგმაში უნდა აისახოს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხები,

საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრა/განხორციელების მიზნით;

- 3.8 მშენებლობის დაწყებამდე, საპროექტო დერეფნის ის ნაწილი, რომელიც გადის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, უზრუნველყოს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმება. ვინაიდან, ეგხ-ს საპროექტო დერეფნიდან (პოლიგონური shp-ფაილები) 5154 კვ.მ. – 425 კვ.მ, ხოლო 12694 (ხაზობრივი shp-ფაილები) გრძივი მეტრიდან - 623 გრძივი მეტრი, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში;
 - 3.9 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოამზადოს და სამინისტროში წარმოადგინოს საკვლევი ტერიტორიის თანამედროვე გეოდინამიკური პროცესებისა და მოვლენების გავრცელების რუკა, სადაც ასახული იქნება ის სენსიტიური უბნები, რომლებიც მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში ყველაზე მაღალი რისკის მატარებლები არიან. ყოველი კონკრეტული უბნისთვის შეიმუშაოს უსაფრთხოებისთვის საჭირო შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები და წარმოადგინოს სამინისტროში განსახილველად;
 - 3.10 მშენებლობის დაწყებამდე სამინისტროში წარმოადგინოს შეცვლილი 7 საყრდენის ადგილზე ხელბურღით გაყვანილი 7 (NN 138-144) ჭაბურღილის კოორდინატები;
 - 3.11 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
 - 3.12 ეგხ-ს სამშენებლო სამუშაოების დაწყება და ეგხ-ს ექსპლუატაციაში გაშვება აცნობოს სამინისტროს.
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენერგოტრანსი“-ს;
 5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
 6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი